ახალი სათეატრო ფორმა - ონლაინ თეატრი?

ლაშა ჩხარტიშვილი

საკვანძო სიტყვები: *საშემსრულებლო ხელოვნება პანდემიაში, ახალი სათეატრო ფორმა, ონლაინ თეატრი, ციფრული თეატრი*

აისახება თუ არა პანდემიით განპირობებული გამოწვევები და ცვლილებები ხელოვნების, კერძოდ, სათეატრო ხელოვნების შემდგომ განვითარებაზე, პანდემიის დასრულების შემდეგ უფრო ნათელი გახდება, თუმცა ჩვენ უკვე ვართ ახალი ჰიბრიდული ხელოვნების გაჩენის მომსწრე. პანდემიამ, რომელიც სამყაროს თავს მოულოდნელად დაატყდა, საგრძნობლად შეცვალა მსოფლიოს დღის წესრიგი. დაწესდა ახალი რეგულაციები, დაირღვა ჩვეული ცხოვრების წესი, სამყარო უამრავ სირთულეთა პირისპირ მოუმზადებელი აღმოჩნდა. პანდემიით შექმნილი მოცემულობიდან გამომდინარე, ხელოვნებაც, ისევე, როგორც მრეწველობა-წარმოების თითქმის ყველა სფერო, იძულებული აღმოჩნდა თამაშის ახალ წესებს შეჰგუებოდა და ჯერ გადარჩენის, ხოლო შემდეგ განვითარების გზები ეპოვა. ხელოვნების ახალ თუ ძველ დარგებს შორის საშემსრულებლო ხელოვნება ერთადერთია, რომელიც მაყურებელთან ცოცხალ კომუნიკაციაზეა დაფუძნებული. სწორედ, ცოცხალი ურთიერთობაა მისი ერთ-ერთი მთავარი ძალა. ცოცხალი ურთიერთობის პლატფორმა თეატრს პანდემიამ ჩამოართვა.

სათეატრო პროდუქტი ცოცხლობს მხოლოდ მაშინ, როცა მას ჰყავს თუნდაც ერთი ცოცხალი მაყურებელი. ახლა, პანდემიის პირობებში კი, სათეატრო ხელოვნებას შეექმნა ავთენტური ფორმით არსებობის საფრთხე. პანდემიამ წარმოშვა ახალი ტიპის ხელოვნება, რომელიც გამოიხატა თეატრისა და კინოხელოვნებების სინთეზურ, ჰიბრიდულ პროდუქტში, რომელსაც პირობითად შეგვიძლია ონლაინ თეატრი ვუწოდოთ.

არსებობის ასეთი ფორმა ძირეულად, კონცეპტუალურად და რადიკალურად ეწინააღმდეგება თეატრის არსს. თეატრი ყოველთვის უმკლავდებოდა წინააღმდეგობებს, გამოწვევებს, ითვისებდა ტექნოლოგიურ პროგრესს, ნერგავდა მას და თავის სასარგებლოდ, განვითარებისთვის იყენებდა, მაგრამ „დისტანციურად“ არასდროს უარსებია, მაყურებელთან უშუალო კომუნიკაციის, ირიბი ან პირდაპირი ინტერაქციის გარეშე. მაგრამ შეუძლია თეატრს მაყურებელთან ცოცხალ ურთიერთობაზე უარის თქმა?

“როცა კარანტინი დასრულდება, სამყარო სხვაგვარი იქნება...“[1] – განაცხადა Microsoft-ის დამფუძნებელმა ბილ გეითსმა.

აისახება თუ არა პანდემიით განპირობებული გამოწვევები და ცვლილებები ხელოვნების, კერძოდ, სათეატრო ხელოვნების შემდგომ განვითარებაზე, პანდემიის დასრულების შემდეგ უფრო ნათელი გახდება, თუმცა ჩვენ უკვე ვართ ახალი ჰიბრიდული ხელოვნების გაჩენის მომსწრე.

პანდემიამ, რომელიც სამყაროს თავს მოულოდნელად დაატყდა, საგრძნობლად შეცვალა მსოფლიოს დღის წესრიგი. დაწესდა ახალი რეგულაციები, დაირღვა ჩვეული ცხოვრების წესი, სამყარო უამრავ სირთულეთა პირისპირ მოუმზადებელი აღმოჩნდა. სანამ მეცნიერები და მკვლევრები კორონავირუსთან (რომელსაც, უფრო ზუსტად, COVID 19 უწოდეს) ბრძოლის ხერხებსა და მეთოდებს გამოიმუშავებდნენ, კაცობრიობა ურთიერთობის ნაცნობ, მაგრამ არა ძირითად, დისტანციურ ფორმატზე გადავიდა.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ პანდემია 2020 წლის 11 მარტს გამოაცხადა. მსოფლიო თეატრე-

1 ბარისო, ბილ გეითსი, 2020.

ბი თეატრის საერთაშორისო დღეს – 27 მარტს დახურულ, ჩაბნელებულ დარბაზებსა და სიჩუმეში შეხვდნენ.

თეატრებს მუშაობა პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროსაც კი არ შეუწყვეტიათ, პანდემიამ კი გაჩერება აიძულა. თეატრი – ხელოვნების სინთეზური და ცოცხალი დარგი, ჩიხში შევიდა, სიკვდილ-სიცოცხლის პირას აღმოჩნდა. სათეატრო ხელოვნების ინდუსტრიაში კი, გარკვეული დროით, კრიზისის მორიგი პერიოდი დადგა.

პანდემიით შექმნილი მოცემულობიდან გამომდინარე, ხელოვნებაც, ისევე, როგორც მრეწველობა-წარმოების თითქმის ყველა სფერო, იძულებული აღმოჩნდა თამაშის ახალ წესებს შეჰგუებოდა და ჯერ გადარჩენის, ხოლო შემდეგ განვითარების გზები ეპოვა. ხელოვნების ახალ თუ ძველ დარგებს შორის საშემსრულებლო ხელოვნება ერთადერთია, რომელიც მაყურებელთან ცოცხალ კომუნიკაციაზეა დაფუძნებული. სწორედ, ცოცხალი ურთიერთობაა მისი ერთ-ერთი მთავარი ძალა. ცოცხალი ურთიერთობის პლატფორმა თეატრს პანდემიამ ჩამოართვა.

ოცდაექვსი საუკუნის წინათ, საბერძნეთში ჩამოყალიბებულმა, ევროპული მოდელის პროფესიულმა, ვერბალურმა, არისტოტელესეულმა თეატრმა, განვითარების მრავალსაუკუნოვან პერიოდში აჩვენა, რომ თვითგანახლების, თვითგადარჩენის უნიკალური რესურსი და თვისება აქვს. ისტორიის განმავლობაში არაერთხელ გაჩნდა ჩიხში შესული, უკიდურეს კრიზისში მყოფი სათეატრო ხელოვნების გაუჩინარების ეჭვი.

ომი თეატრს ჯერ ქრისტიანულმა ეკლესიამ გამოუცხადა, არსებობა-განვითარების მორიგი დილემის წინაშე თეატრი სინემატოგრაფის გაჩენის შემდეგ აღმოჩნდა, XX-XXI საუკუნეებში კი სერიოზული კონკურენცია ჯერ ტელევიზიამ, ხოლო შემდეგ ინტერნეტმაც გაუწიეს, მაგრამ პანდემიის ეპოქაშიც კი, როგორც ყველა ვხედავთ, თეატრი, როგორც ცოცხალი ხელოვნება, არსებობს და ვითარდება.

„ხანმოკლე, თუ ხანგრძლივი, გლობალური, თუ ლოკალური რყევების მომენტებში თეატრი ყოველთვის ხელახლა იბადებოდა... ჩნდებოდა მოულოდნელ დროსა და მოულოდნელ ადგილებში, ზუსტად იქ, სადაც, ერთი შეხედვით, არავინ ელოდა შემოქმედებითი იმპულსის დაბადებას (ან, სულაც სიცოცხლის დაბადებას!): სამხედრო ყაზარმებში ომის დროს, დევნილთა თავშესაფრებში კოცონის გარშემო და ხანძრებს შორის ქალაქის მთავარ მოედნებზე. თეატრი ყვიროდა ბაზრებსა და ქარხნებში და ჩურჩულებდა საკნებში, საკონცენტრაციო ბანაკებსა და მომაკვდავთა პალატებში. ნამდვილი თეატრი, ნამდვილი ხელოვნება, ყოველთვის ექსტრემალური სიტუაციისთვის თვალის გასწორების შედეგად იბადებოდა და გახლეჩილ სამყაროებს აერთიანებდა, იბადებოდა ნანგრევებში და თავად იყო ნანგრევი...“,[2] – წერდა ლოქდაუნის[3] დროს რეჟისორი დათა თავაძე.

რა არის კრიზისულ სიტუაციაში აღმოჩენილი სათეატრო ხელოვნების განვითარების საიდუმლოება? თანაც ისე, რომ არ დაკარგოს პირველყოფილი ფორმა და სტრატეგიული მიზანი – მხატვრულად ასახოს ცხოვრება („მთელი სამყარო თეატრია და ჩვენ ყველანი მის სცენაზე ვმსახიობობთ – ქალიც და კაციც“[4]), სარკისებურად არეკლოს ცხოვრება. „სცენა იგივე შკოლაა, რომელიც ცხოველის სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭკუასა... არის იგი სანატრელი, ამ მხრით არის იგი კაცის გრძნობისა და ჭკუის გამაფაქიზებელი, გამწმენდელი. სცენა ხალხის მწვრთნელი, ხალხის გამზრდელი უნდა იყოს, და ამასთანაც, იმისთანა შემაქცევარიც არის, რომ უკეთეს მხარეს ადამიანისას ფეხს ადგმევინებს, ფრთას აშლევინებს, უკეთესი შესაქცევარი, უკეთესი დროს – გასართობი, სულისა და გულის ამამაღლებელი, სხვა ისეთი არა ვიცით რა სცენის მეტი“.[5]

ასე გამოხატავდა თეატრის მისიას თეატრის რეფორმატორი, მოდერნისტი და ავანგარდისტი კოტე მარჯანიშვილი: „ხელოვნების მიზანი სულ უბრალოა – მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეროს მას მხნე-

2 თავაძე, 2020.

3 ლოქდაუნი - (ინგ. Lockdown) გარკვეული შეზღუდვების დაწესება მოგზაურობაზე, სოციალურ ინტერაქციაზე და საჯარო ადგილების წვდომაზე.

4 შექსპირი, ჰამლეტი, 1953, გვ. 397.

5 ჭავჭავაძე, წერილები, 2021, გვ. 24.

ობა“.[6]

სხვადასხვა ეპოქის სწავლულთა, ფილოსოფოსთა, მწერალთა თუ დრამატურგთა აზრით, თეატრი საზოგადოების სარკეა. თეატრში ადამიანები მიდიან ცხოვრების, სხვების, საკუთარი თავის სანახავად. ადამიანები ცოცხალ წარმოდგენაში ხედავენ საკუთარ ანარეკლს, გრძნობენ სირცხვილს, სიხარულს, უსუსურობას, უბედურებას. თეატრი ეხმარება ადამიანს ყოველდღიურ ცხოვრებაში, სირთულეების დაძლევაში, გამოსავლის ძიებაში, პრობლემების უკეთ გაანალიზებაში, არარეალიზებული სურვილების – წარმოსახვით რეალიზაციაში.

თეატრი ცოდნის შეძენის, შენახვისა და გადაცემის ერთგვარი საშუალებაა. ასე იყო საუკუნეების განმავლობაში და ამ როლს ასრულებს დღესაც.

იცვლება დრო, პრობლემების სპექტრი, საზოგადოებრივი ფორმაციები, იცვლება თავად თეატრის ენა, მაგრამ არ იცვლება (არც ერთი ტიპის) თეატრის მიზნები და მაყურებელთან ურთიერთობის ხერხი, რომელიც ცოცხალ და უშუალო კომუნიკაციას ემყარება.

შეძლებს თუ არა თეატრი ზემოთ გაცხადებული მიზნების (როლის, მისიის) შესრულებას დისტანციურად და იქნება თუ არა ის კვლავაც თეატრი, როგორც ხელოვნება, ცოცხალი კომუნიკაციის გარეშე?

სწორედ ესაა, ჩემი აზრით, მთავარი კითხვა პანდემიისა და პოსტპანდემიური პერიოდის თეატრზე საუბრისას.

სათეატრო პროდუქტი ცოცხლობს მხოლოდ მაშინ, როცა მას ჰყავს თუნდაც ერთი ცოცხალი მაყურებელი. ახლა, პანდემიის პირობებში კი, სათეატრო ხელოვნებას შეექმნა ავთენტური ფორმით არსებობის საფრთხე. პანდემიამ წარმოშვა ახალი ტიპის ხელოვნება, რომელიც გამოიხატა თეატრისა და კინოხელოვნებების სინთეზურ, ჰიბრიდულ პროდუქტში, რომელსაც პირობითად შეგვიძლია ონლაინ თეატრი ვუწოდოთ.

დღეს თეატრი ისევ დადგა გლობალური პრობლემების, სირთულეების წინაშე, რომელთა მსგავსიც არსებობის 26 საუკუნის განმავლობაში არ ჰქონია.

პანდემიის პირველ ეტაპზე თეატრი მაყურებელთან ურთიერთობის დისტანციურ, ონლაინ ფორმატზე გადავიდა. მსოფლიო თეატრმა გახსნა უნიკალური არქივი და ის ხელმისაწვდომი გახდა დედამიწის ყველა კონტინენტზე. შეიცვალა მოცემულობა: ადრე, თუ სცენაზე ერთ მხარეს ცოცხალი მსახიობი იდგა, ხოლო მეორე მხარეს – მაყურებელი, რომელიც ემოციებს დაუფარავად, საჯაროდ გამოხატავდა, გარშემომყოფთა თანდასწრებით, ახლა ერთ მხარეს სპექტაკლის ჩანაწერი (ან ციფრული ფორმატისთვის სპეციალურად დადგმული წარმოდგენა) აღმოჩნდა, ხოლო მეორე მხარეს – საზოგადოება, რომელიც წარმოდგენას ონლაინ, ან პაუზებით, ან ეპიზოდების მიხედვით ადევნებს თვალს მისთვის მოხერხებულ სივრცეში – ქუჩაში, სახლში, სამსახურში, ტრანსპორტში...

არსებობის ასეთი ფორმა ძირეულად, კონცეპტუალურად და რადიკალურად ეწინააღმდეგება თეატრის არსს. თეატრი ყოველთვის უმკლავდებოდა წინააღმდეგობებს, გამოწვევებს, ითვისებდა ტექნოლოგიურ პროგრესს, ნერგავდა მას და თავის სასარგებლოდ, განვითარებისთვის იყენებდა, მაგრამ „დისტანციურად“ არასდროს უარსებია, მაყურებელთან უშუალო კომუნიკაციის, ირიბი ან პირდაპირი ინტერაქციის გარეშე. მაგრამ შეუძლია თეატრს მაყურებელთან ცოცხალ ურთიერთობაზე უარის თქმა? თუ არა, მაშინ როგორ უნდა შეინარჩუნოს ცოცხალი კომუნიკაცია „მესამე განზომილებაში“, ვირტუალურ სივრცეში გადანაცვლებულმა ხელოვნებამ, რომელიც ეტაპობრივად, ჩვენ თვალწინ ყალიბდება, როგორც თეატრისა და კინოს ჰიბრიდული მხატვრული პროდუქტი – ონლაინ თეატრი,[7] სადაც თეატრსა და კინოში მუშაობის ხერხები, ფორმები, საშუალებები, მეთოდოლოგია ერწყმის ერთმანეთს, ისე, როგორც აქამდე არასდროს.

ონლაინ პრემიერისთვის მომზადებული თეატრალიზებული კითხვები თუ პავილიონებში დადგმუ-

6 მარჯანიშვილი, 1972, გვ. 3.

7 2020 წელს, თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო გაერთიანებამ ონლაინ ფორმატში ჩაატარა საერთაშორისო კონფერენცია „თეატრი ონლაინ“, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა კონტინენტის თეატრის პრაქტიკოსები და თეორეტიკოსები. მომხსენებლების უმრავლესობა ტერმინს „ონლაინ თეატრი“ - ორ კონტექსტში იყენებდა: 1. პანდემიამდე დადგმული სპექტაკლის ვიდეო ჩანაწერის ლაივსთრიმის საშუალებით ჩვენებისას; 2. პანდემიის პერიოდში დისტანციურად მომზადებული სპექტაკლების ონლაინ პრემიერებზე საუბარში.

ლი სატელევიზიო ფილმ-სპექტაკლები აერთიანებდნენ აქამდე ნაცნობ, გამოყენებულ საშუალებებს, რომლებსაც სატელევიზიო დადგმებში ვხვდებოდით.[8] სწორედ სატელევიზიო თეატრის ახალი, გადამუშავებული ვერსიაა ონლაინ თეატრი, რომელიც სათეატრო პროდუქტის კომპიუტერისა და ინტერნეტის საშუალებით გავრცელებას ნიშნავს.

უკრაინელი მკვლევარი ანნა კურინნაია (Анна Куринная) ამ საკითხზე წერს: „ჩნდება კითხვა: არის თუ არა „ონლაინ თეატრი" ახალი ფენომენი თეატრისთვის? ან, სავსებით სავარაუდოა, რომ საუბარია სატელევიზიო სპექტაკლების მივიწყებული ჟანრისა და ტრადიციის აღორძინებაზე, რომელიც დროთა განმავლობაში განიდევნა სატელევიზიო ეთერებიდან მხატვრული დონის მკვეთრი ვარდნისა და დაბალი (არამომგებიანი) რეიტინგის გამო".[9]

ონლაინ თეატრს, ცხადია, ბევრი აქვს საერთო სატელევიზიო თეატრთან, მაგრამ ის მაინც, თვისებრივად განსხვავებული მოვლენაა. ონლაინ თეატრი აჩენს სხვა პერსპექტივას სათეატრო ხელოვნებაში.

2007 წელს, მკვლევარმა და რეჟისორმა ნადია მასურამ (Nadja Masura) მერილენდის უნივერსიტეტში (აშშ, ვაშინგტონი) დაიცვა დისერტაცია თემაზე „ციფრული თეატრი". ნაშრომში ავტორი განიხილავდა გზებს, რომლებითაც ციფრულ ტექნოლოგიებს – როგორებიცაა ანიმაცია, ვიდეო, მოძრაობის გადაღება/სენსინგი და ინტერნეტ მაუწყებლობა – გამოიყენებდნენ ცოცხალ დადგმაში ცოცხალ მსახიობებთან ერთად.

„ციფრული თეატრი არის თეატრის სახეობა, რომელიც იყენებს როგორც „ცოცხალ" მსახიობებს, ასევე მაყურებელს ციფრულ მედიასთან ერთად, რათა შექმნას ხელოვნების ჰიბრიდული ფორმა, რომელიც აცოცხლებს თეატრს თანამედროვე მაყურებლისთვის",[10] – წერს მასურა. მის სპექტაკლებში გამოყენებული ტექნოლოგიები მოიცავდა: ვიდეო კონფერენციას, მედია პროექციას, MIDI კონტროლს, მოძრაობის გადაღებას, VR ანიმაციასა და AI-ს (ხელოვნურ ინტელექტს).

ციფრული ტექნიკის, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას სცენაზე დიდი ტრადიცია აქვს. ამ მხრივ, აღსანიშნავია, ერვინ პისკატორის, იოსებ სვობოდას, გორდონ კრეგის, კოტე მარჯანიშვილის, ფუტურისტი არტისტების ძიებები და მიღწევები. ციფრულმა თეატრმა კი ახალი შესაძლებლობები და ექსპერიმენტების მოტივაცია გააჩინა თანამედროვე თეატრის არტისტებში, რადგან მას შეუძლია როლების და მათი შემსრულებლების შერწყმა, მოქმედების ადგილის დეფინიცია, წარმოდგენის განსხვავებული ვიზუალიზაცია...

სწორედ სატელევიზიო და ციფრული თეატრის ჰიბრიდია ონლაინ თეატრი, რომელიც ძნელია მიაკუთვნო როგორც თეატრს, ისევე კინოხელოვნებას. რადგან ონლაინ თეატრში კონცეპტუალურად ირღვევა ხელოვნების ორივე დარგის კანონები.

ამ პროცესს მექსიკელმა მეცნიერმა, კულტურის ექსპერტმა მონიკა ბაიონერო დიასმა (Monica Bajonero Diaz) სათეატრო დიფუზია უწოდა. იგი წერს: „ახლა ყალიბდება ახალი სასცენო ენა, რომელიც საშუალებას მისცემს თეატრს იპოვოს ახალი არხები, გზები. სათეატრო დიფუზიის პერიოდში თეატრი ეძებს ახალ პლატფორმებს მაყურებელთან შესახვედრად..."[11]

თუმცა ეს არ იქნება მარტივი პროცესი. იმდენად დიდია ცოცხალი კომუნიკაციის ვნება და სურვილი, რომ თეატრი აუცილებლად დაუბრუნდება ტრადიციულ ხერხს მაყურებელთან შესახვედრად.

მაშინ, რა მოხდება პანდემიის დასრულების შემდეგ? „ონლაინ თეატრი" დავიწყებას მიეცემა თუ იარსებებს, მაგრამ მცირე აუდიტორიით? მზად ვართ თუ არა, მივიღოთ თეატრის ახალი სახეობა? ამ საკითხზე მყარი მოსაზრებები უახლესი თეატრის მკვლევრებსა და თეორეტიკოსებს ჯერ არ აქვთ.

დისტანციურ რეჟიმში მომზადებულ სპექტაკლებში მსახიობები კამერების წინ სათეატრო ხერხებით თამაშობენ. როლის შესრულება არ არის უწყვეტი პროცესი. როგორც თეატრში, სპექტაკლის მომზადებაში ერთვებიან პროფესიონალი ოპერატორები და თეატრის რეჟისორები, რომლებიც იქცევიან არაპრო-

8 პირველ სატელევიზიო დადგმებს საფუძველი ჩაუყარა „სავარძლის თეატრმა" (Armchair Theatre), რომელიც ბრიტანეთის ეროვნული ტელევიზიის ეთერში გადიოდა ანთოლოგიური სერიების სახით, 1956-1972 წლებში.

9 კურინნაია, ონლაინ თეატრი, 2020, გვ. 86.

10 მასურა, ციფრული თეატრი, 2007.

11 დიასი, ონლაინ თეატრი, 2020, გვ. 16.

ფესიონალ კინორეჟისორებად. შესაბამისად, კომპიუტერების, სმარტფონების ეკრანებზე ჩვენ თვალს ვადევნებდით კინოსპექტაკლებს, ცოცხალი კომუნიკაციის გარეშე. მსახიობებსა და მაყურებელს შორის კომუნიკაციამ გადაინაცვლა ვირტუალურ სივრცეში, სადაც მაყურებელი ოვაციას გამოხატავს არა ცოცხლად, როგორც თეატრში, არამედ, ვირტუალურად გრაფიკული ემოციების საშუალებით. მსახიობები და დამდგმელი ჯგუფი მაყურებლისგან უკუკავშირს ღებულობენ.

ამასთან დაკავშირებით, თეატრის მკვლევარი ემილია დემენცოვა წერს: „თეატრებმა და თეატრის პრაქტიკოსებმა უნდა აირჩიონ საუკეთესო ინსტრუმენტები სთრიმინგისა და სხვა ონლაინ პროექტებისთვის. თითოეულ პლატფორმას აქვს თავისი უპირატესობები და ნაკლოვანებები, როგორც მხატვრული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. ხელმისაწვდომობა და კონტაქტი აუდიტორიასთან დღეს, როგორც არასდროს, ყველაზე მნიშვნელოვანია. ახლა გაჩნდა შანსი, ახალი გამოწვევის წყალობით, რომ თეატრებმა მიიპყრონ იმ მაყურებლის ყურადღება, რომელიც ადრე სხვა თეატრებს ამჯობინებდა“.[12]

ონლაინ თეატრში იკარგება მთავარი – ენერგიის გაცვლის პროცესი. ეს უნიკალური მომენტი თეატრისა თუ კინოს ამ ახალ სახეობაში დაკარგულია. შეუძლებელია რაკურსის შერჩევა, რადგან რეჟისორი და ოპერატორი გთავაზობენ რაკურსს, მაყურებელი კი იძულებულია, შეთავაზებული მიიღოს. ვერ გამოხატავს ემოციასა და უკუკავშირს ცოცხლად, რადგან მანაც ვირტუალურ სივრცეში გადაინაცვლა.

რა იქნება ხვალ? ძნელი სათქმელია. ამას დრო გვიჩვენებს. თუმცა გვაქვს თეატრისა და კინოს გამომსახველობითი ხერხების შერწყმის მორიგი სახეობა, რომელსაც ონლაინ თეატრად მოიხსენიებენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბარისო ჯ., პანდემიის დასრულების შემდეგ, სამყარო სხვაგვარი იქნება (ინტერვიუ ბილ გეითსთან), www.inc.com, 10 აპრილი, 2020. იხ. ბმული: https://www.inc.com/justin-bariso/bill-gates-says-coronavirus-will-change-life-forever-heres-how-to-adapt.html?cid=sf01002 [გადამოწმებულია: 20.03.2022].
- თავაძე დ., დათა თავაძის რეკომენდაციები, ონლაინ ჟურნალი, hammockmagazine.ge, 2 აპრილი, 2020. იხ. ბმული: https://hammockmagazine.ge/post/hammock-magazine-x-tibisi-statusi-data-tavadzis-rekomendatsiebi/197?fbclid=IwAR0p_o6IkMOL7wF1sqYdJcQIJm1EY1mLx2tqt6hAVIq91AFIt36wkzI4XYY [გადამოწმებულია: 15.03.2022].
- მარჯანიშვილი კ., წერილები თეატრზე, ჟურნალი „თეატრალური მოამბე“, # 5 (69), 1972.
- საერთაშორისო ონლაინ სამეცნიერო კონფერენციის „თეატრი ონლაინ 2020“ მასალები, ალმათი, ბაქო, თბილისი, 2020.
- შექსპირი უ., ტრაგედიები, (ინგლისურიდან თარგმანი ივანე მაჩაბლის), ტ. III., თბ., 1953.
- ციფრული თეატრი, მერილენდის უნივერსიტეტი, ტექნოლოგიების ინსტიტუტი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, ვებგვერდი, https://mith.umd.edu/research/digital-theatre/ [გადამოწმებულია: 20.03.2022].
- ჭავჭავაძე ი., წერილები თეატრზე, (შემდგენელ-რედაქტორი მაია კიკნაძე), თბ., 2021.

12 დემენცოვა, ონლაინ თეატრი, 2020, გვ. 34.

NEW THEATRICAL FORM – ONLINE THEATRE?

Lasha Chkhartishvili

Keywords: *Performing Arts in pandemic, theatre's new form, online theatre*

"When the quarantine is over, the world will change forever," Microsoft founder Bill Gates said.
Whether the challenges and changes caused by the pandemic are reflected in the further development of art, particularly theatrical art, will become clearer after the end of the pandemic, although we are already witnessing the emergence of a new hybrid art.
The pandemic that suddenly struck the world has dramatically changed the world agenda. New regulations were imposed, the usual way of life was broken, the world was unprepared to face many difficulties. Before scientists and researchers could devise the ways and methods to fight the coronavirus (more precisely, COVID 19), humanity moved to a familiar, but not basic, remote format of communication.
The World Health Organization declared the pandemic on March 11, 2020. World theatres celebrated International Theatre Day, March 27, in closed, darkened halls and in silence.
Theatres did not stop working even during the First and Second World Wars, but the pandemic forced them to stop. Theatre, a synthetic and living field of art, entered a dead end, found itself on the verge of death-life. In the theatrical art industry, for some time, another period of crisis came.
Due to the pandemic, art, like almost every field of industry, was forced to adapt to new rules of the game and find ways to survive and then develop. Performing arts are the only ones based on live communication with the audience between new and old fields of art. That is, a living relationship is one of its main strengths. The live communication platform was taken away from the theatre by the pandemic.
Twenty-six centuries ago, the professional, verbal, Aristotelian theatre of the European model, established in Greece over a centuries-long period of development, showed that it has a unique resource and feature of self-renewal, self-preservation. The suspicion of the disappearance of the theatrical art in a deadlock, in extreme crisis, has arisen many times throughout history.
The main thing lost in online theatre is the process of energy exchange. This unique moment of the theatre, or in this new kind of cinema, is lost. It is impossible to select a perspective because the director and the cameraman offer the perspective and the viewer is forced to accept the offer who cannot express emotion and feedback live because he too has moved into virtual space.
What will happen tomorrow? It's hard to say. Time will tell. However, we have another type of combination of theatre and cinema, which is called online theatre.

"When the quarantine is over, the world will change forever," [1] Microsoft founder Bill Gates said.

Whether the challenges and changes caused by the pandemic are reflected in the further development of art, particularly theatrical art, will become clearer after the end of the pandemic, although we are already witnessing the emergence of a new hybrid art.

The pandemic that suddenly struck the world has dramatically changed the world agenda. New regulations were imposed, the usual way of life was broken, the world was unprepared to face many difficulties. Before scientists and researchers could devise the ways and methods to fight the coronavirus (more precisely, called COVID 19), humanity moved to a familiar, but not basic, remote format of communication.

The World Health Organization declared the pandemic on March 11, 2020. The World theatres celebrated

1 Justin Bariso, Bill Gates, 2020.

International Theatre Day, March 27, in closed, darkened halls and in silence.

Theatres did not stop working even during the First and Second World Wars, but the pandemic forced them to stop. Theatre, a synthetic and living field of art, entered a dead end, found itself on the verge of death-life. In the theatrical art industry, for some time, another period of crisis came.

Due to the pandemic, art, like almost every field of industry, was forced to adapt to new rules of the game and find ways to survive and then develop. Performing arts are the only ones based on live communication with the audience between new and old fields of art. That is, a living relationship is one of its main strengths. The live communication platform was taken away from the theatre by the pandemic.

Twenty-six centuries ago, the professional, verbal, Aristotelian theatre of the European model, established in Greece over a centuries-long period of development, showed that it has a unique resource and feature of self-renewal, self-preservation. The suspicion of the disappearance of the theatrical art in a deadlock, in extreme crisis, has arisen many times throughout history.

War was first declared to the theatre by the Christian Church. It appeared in front of another dilemma of existence-development after the advent of cinema, and in the 20th–21st centuries, a serious competition came first from television and then the Internet, but even in the pandemic era, as we all see, the theatre exists and evolves as living art.

"In moments of short, long, global or local fluctuations, the theatre was always reborn... it appeared at unexpected times and in unexpected places, right there, at first glance, no one expected the birth of a creative impulse (or, at least, the birth of life!): during the war in military barracks, refugee shelters around bonfires and in fires in the main squares of a city. The theatre screamed in markets and factories and whispered in cells, concentration camps, and death chambers. Real theatre, real art, was always born as a result of turning a blind eye to an extreme situation and uniting fragmented worlds, it was born in ruins and it was ruin itself...," [2] director Data Tavadze wrote during the lockdown.

What is the secret of the development of theatrical art discovered in a crisis situation? So that it will not lose its primary form and strategic goal, to reflect life artistically ("All the world's a stage, and all the men and women merely players;" [3]), to mirror life. "The scene is the school that speaks with images of animals to the heart and mind of man... it is what he longs for, in this sense it is the purifier of human feelings and intelligence. The stage has to be the coach of people, the educator of people, and at the same time, it is reversible that it puts a person on a better side, spreads a wing, a better turnaround, a better time - entertainment, uplifting the soul and heart, we do not know what else." [4]

This is how Kote Marjanishvili, a theatre reformer, modernist and avant-garde, expressed the mission of the theatre: "The goal of art is simple: to give a person joy, to inspire him." [5]

According to scholars, philosophers, writers or playwrights of different eras, the theatre is a mirror of society. In the theatre, people go to see the lives of others, of themselves. People see their own reflection in a live performance, feel shame, joy, weakness, misery. Theatre helps a person in everyday life, overcoming difficulties, finding solutions, better analysis of problems, unrealized desires - in the imaginary realization.

The theatre is a means of acquiring, storing and transmitting knowledge. It has been so for centuries and still plays this role today.

The time, the range of problems, the social formations change, the language of the theatre itself changes, but the goals of the theatre (of any type) and the way of communicating with the audience, which is based on live and direct communication, do not change.

Will the theatre be able to fulfill the above stated goals (role, mission) remotely and will it still be a theatre as an art without live communication?

This is, in my opinion, the main question when talking about the pandemic and post-pandemic theatre.

A theatrical product comes to life only when it has

2 Tavadze, 2020.
3 Shakespeare, Hamlet, 1953, p. 397.
4 Chavchavadze, Letters, 2021, p. 24.
5 Marjanishvili, 1972, p. 3.

at least one live audience. Even now, in the face of the pandemic, theatrical art is in danger of surviving in its authentic form. The pandemic has given rise to a new type of art that manifests itself in a synthetic, hybrid product of theatre and filmmaking that can conventionally be called online theatre.

Today, the theatre is again faced with global problems, difficulties, the like of which has not existed for 26 centuries.

In the first phase of the pandemic, the theatre switched to a remote, online format for communicating with the audience. The World Theatre opened a unique archive and it became available on every continent of the earth. The situation has changed: in the past, if on one side of the stage stood a live actor, and on the other side, the audience, who openly expressed their emotions in public, in the presence of those around them, now on one side there is a recording of a play (or digitally staged performance) and on the other side a society that follows the performance online, or with pauses, or according to episodes, in a space convenient for it, in the street, at home, at work, on transport....

Such a form of existence fundamentally, conceptually and radically contradicts the essence of theatre. The theatre has always dealt with obstacles, challenges, mastered technological progress, introduced it and used it for its own benefit, for development, but it has never existed "remotely," without direct communication with the audience, indirect or direct interaction. But can the theatre refuse to have a live relationship with the audience? If not, then how can the art keep communication alive in the "third dimension," the art that has moved into the virtual space, which is gradually emerging before our eyes as a hybrid artistic product of theatre and cinema, online theatre[6], where the ways, forms, means, methodology of working in the theatre and cinema merge with each other like never before.

Theatrical questions prepared for the online premiere or TV movie productions staged in the pavilions combined with the hitherto familiar, used media that we encountered in TV shows. The new, redesigned version of TV theatre is the online theatre, which means distributing a theatrical product through a computer and the Internet.

Ukrainian researcher Anna Kurinnaya writes about this issue: "The question arises: is online theatre a new phenomenon for the theatre? Or, it is quite possible that we are talking about the revival of the forgotten genre and tradition of television performances, which over time were expelled from television due to a sharp drop in the artistic level and low (non-profit) ratings." [7]

Online theatre obviously has a lot in common with TV theatre, but it is still a qualitatively different phenomenon. Online theatre brings another perspective to the theatrical art.

In 2007, researcher and director Nadja Masura defended her dissertation on "Digital Theatre" at the University of Maryland (Washington, DC). In the paper, the author discusses the ways in which digital technologies—such as animation, video, motion capture/sensing, and Internet broadcasting—have been used in live staging with live actors.

"Digital theatre is a type of theatre that uses both 'live' actors and audiences in conjunction with digital media to create a hybrid art form that enlivens theatre for the modern audience," [8] Masura writes. The technologies used in his performances included: video conferencing, media projection, MIDI control, motion capture, VR animation and AI (artificial intelligence).

The use of digital technology and new technologies has great onstage traditiosn. In this regard, the research and achievements of futuristic artists Erwin Piscator, Joseph Swoboda, Gordon Craig, Kote Marjanishvili are noteworthy. Digital theatre has created new opportunities and motivation for experiments in contemporary theatre artists, because it can combine roles and their performers, it can define the place of action, different visualization of the performance....

6 In 2020, the International Union of Theatre Critics held an online conference entitled "Theatre Online", which was attended by theatre practitioners and theorists from different continents. Most speakers used the term "online theatre" in two contexts: 1. to broadcast a live video of a pre-pandemic play; 2. To talk online premieres of remotely prepared plays during the pandemic.

7 Kurinnaya, Online Theatre, 2020, p. 86.

8 Masura, Digital Theatre 2007.

Online theatre is a hybrid of TV and digital theatre that is difficult to attribute to both either theatre or film-making since online theatre conceptually violates the laws of both fields of art.

This process was called theatrical diffusion by a Mexican scientist, cultural expert Monica Bajonero Diaz. She writes: "Now a new stage language is being formed, which will allow the theatre to find new channels, ways. In the period of theatrical diffusion, the theatre is looking for new platforms to meet the audience.... "[9]

But this will not be an easy process. So great is the passion and desire for live communication that theatre will inevitably return to the traditional way of meeting the audience.

Then, what will happen after the pandemic is over? Will "Online Theatre" be forgotten, or it will exist, but with a small audience? Are we ready to get a new kind of theatre? Researchers and theorists of the latest theatre do not yet have solid opinions on this issue.

In remotely prepared performances, actors play in front of the cameras in theatrical ways. Role play is not a continuous process. As in the theatre, professional cinematographers and theatre directors are involved in the preparation of the play, who act as non-professional film directors. Consequently, on the screens of computers, smartphones, we have watched movies without any live communication. Communication between actors and the audience has shifted to the virtual space, where the audience expresses applause not live, as in the theatre, but through virtually graphic emotions. The actors and the production team receive feedback from the audience.

In this regard, a theatre researcher Emilia Dementsova writes: "Theatres and theatre practitioners should choose the best tools for streaming and other online projects. Each platform has its advantages and disadvantages, both artistically and practically. Access and contact with the audience today is more important than ever. Now there is a chance, thanks to a new challenge, for theatres to attract the attention of the audience that used to prefer other theatres."[10]

The main thing lost in online theatre is the process of energy exchange. This unique moment of the theatre, or in this new kind of cinema, is lost. It is impossible to select a perspective because the director and the cameraman offer the perspective and the viewer is forced to accept the offer who cannot express emotion and feedback live because he too has moved into virtual space.

What will happen tomorrow? It's hard to say. Time will tell. However, we have another type of combination of theatre and cinema, which is called online theatre.

REFERENCES:

- ბარისო ჯ., პანდემიის დასრულების შემდეგ, სამყარო სხვაგვარი იქნება (ინტერვიუ ბილ გეითსთან), www.inc.com, 10 აპრილი, 2020. იხ. ბმული: https://www.inc.com/justin-bariso/bill-gates-says-coronavirus-will-change-life-forever-heres-how-to-adapt.html?cid=sf01002 [გადამოწმებულია: 20.03.2022].
- თავაძე დ., დათა თავაძის რეკომენდაციები, ონლაინ ჟურნალი, hammockmagazine.ge, 2 აპრილი, 2020. იხ. ბმული: https://hammockmagazine.ge/post/hammock-magazine-x-tibisi-statusi-data-tavadzis-rekomendatsiebi/197?fbclid=IwAR0p_o6IkMOL7wF1sqYdJcQIJm1EY1mLx2tqt6hAVIq91AFIt36wkzI4XYY [გადამოწმებულია: 15.03.2022].
- მარჯანიშვილი კ., წერილები თეატრზე, ჟურნალი „თეატრალური მოამბე", # 5 (69), 1972.
- საერთაშორისო ონლაინ სამეცნიერო კონფერენციის „თეატრი ონლაინ 2020" მასალები, ალმათი, ბაქო, თბილისი, 2020.
- შექსპირი უ., ტრაგედიები., (ინგლისურიდან თარგმანი ივანე მაჩაბლის), ტ. III., თბ., 1953.
- ციფრული თეატრი, მერილენდის უნივერსიტეტი, ტექნოლოგიების ინსტიტუტი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, ვებგვერდი, https://mith.umd.edu/research/digital-theatre/ [გადამოწმებულია: 20.03.2022].
- ჭავჭავაძე ი., წერილები თეატრზე, (შემდგენელ-რედაქტორი მაია კიკნაძე), თბ., 2021.

9 Diaz, Online Theatre 2020, p. 16.

10 Dementsova, Online Theatre, 2020, p. 34.